საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
ბიბლიოთეკა
20

№ 12
იანვრის 16, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 12
იანვრის 16, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საგუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი ვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრეს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრეს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეებში სავალელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—76)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ.

წლ.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ექიმი

ვ. ი. ინაშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგანის სნეულებით შეპყრობილს, განსაკუთრებით გულისა და ნერვებით სუსტებს. დილის 10 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5-დან—7 საათამდე, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 6.

(10—2—10)

№ 29. ტელეფონი № 176

საქველ-მოქმედო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 იანვარს, 1903 წ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

გრიგალი

დრამა 4 მოქ., სმირნოვისა, თარ. ივანიძისა.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამრეკელისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი,

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამრეკელიძე, ბ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „**მელანიას ოინები**“ ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ, „ჩატეხილი ხიდი“, „სიძე-სიმამრი“, „დარღვეული კერა“, „ნაირა“, „ორი დარაჯი“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში). სახლი № 38.

(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. ბ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვების ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ხ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.
ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
შრ. შ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით' კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 16 იანვარი.

ფრიად სამწუხარო ამბავი გვაუწყეს გაზეთებმა. ერთი უნიჭიერესი მსახიობი ჩვენის სცენისა ბ-ნი ვ. ს. მესხიშვილი ძლიერ შეუძლოდ გამხდარა და ექიმებს ურჩევიათ საზღვარ-გარედ წასვლა მოსარჩენად.

თუ რა ძნელია, ჩვენის სცენის მოტრფიალემ თავისს საყვარელი თეატრი უმესხიშვილოდ წარმოიდგინოს, ეს ყველასათვის ადვილად მისახვედრია; მაგრამ ეს რა წარმოსადგენია! ჯერ კიდევ შეიძლება ჩვენის ქართულის მსახიობის დაბრუნება. ჩვენ გვჯერა, რომ ვლ. მესხიშვილი კიდევ დიდხანს სახელოვანად ატარებს ქართულ თეატრის აღმართულ დროშას, თუ ყურს არ მოვიყრუებთ, თუ საკუთარს ნაჭუჭში არ გავეხვევით და ზურგს არ შევაქცევთ სხვის უბედურებას. მესხიშვილს ეჭირვება ჩვენი ძმურის ხელის გაწვდა, ჩვენი დახმარება ნივთიერადაც და ზნეობრივადაც.

ნივთიერად დახმარებაო! ჩვენის სიღარიბისა და ხელ-მოკლეობის გამო, ჩვენში არა შექმნილა-რა იმისთანა რამ სამოღვაწეო ასპარეზი, რომელსაც მოღვაწის ნივთიერი მდგომარეობა ცოტათი მაინც უზრუნველ ეყოს და გამოეყვანოს იმ გაჭირვებიდგან, რაიცა ყოველთვის ყოფილა და შემდეგშიაც მოსალოდნელია. ამას მოსდევს ან შიმშილით სიკვდილი, ან თუ სიკვდილი არა, სიღატაკესა და უმწეობაში სულის დალევა მაინც.

ბევრჯერ გვილაპარაკნია ჩვენთა ლიტერატორთა და მწერალთა გაჭირებულ მდგომარეობაზედ, აღგვინიშნავს ამ ასპარეზზედ მოღვაწეთა, თუ ბევრად არა, ცოტად მაინც უზრუნველ-ყოფის საჭიროება. განაღა საჭიროა ხელახლად გაუთვალისწინოდ მკითხველს ამ მოღვაწეთა მოსალოდნელი ნივთიერი უილაჯობა სიბერესა და ავადმყოფობაში?! საკმარისია კერესელიძისა, ყაზბეგისა და ნინოშვილის გახსენება, რომ საზოგადო მოღვაწე შედრკეს და გული აიცრუოს საზოგადო სამსახურზედ.

არა ნაკლები უნუგეშობა მოელის ჩვენის თეატრის მოღვაწეთაც. წარმოსადგენად ძნელია, კაცმა ოცი-ოცდახუთი წელიწადი იღვაწოს უანგაროდ, დაუღალავად, ახაროს და ატიროს ხალხი და ბოლოს, რა რჩება, რა წაიღო, რა შეიძინა? „ამდენის საქმის მომქმედმა ცხრა აძლი ტილო წაიღოვო“.

განა თუ მარტო ამითია უმადური სამშობლო სცენაზედ მოღვაწეობა?! აგერ გამოვიდა მსახიობი სცენაზედ, დაგისურათა სიკეთის გამარჯვება და სიავის დამხობა! ხალხი აღტაცებაშია, ტაშის ცემას და გულის სიღრმიდგან აღმოზიდულ „ვაშას“ ძახილით დარბაზის კედლები იძვრის, სიხარულის ცრემლებს ღაპა-ღუპი გააქვს თვალებიდგან, გინდა მთელი ქვეყანა გულს მიიკრა, მტერი ძმად აღიაროო!..

გავიდა დრო, მოიქანცა მსახიობი, წაერთვა ტკბილი ხმა, მოკვდა,—მასთან ერთად მოკვდა მისი სახელიც, მისი ნიჭიც ჰაერში კომლად გაიბნა, მხოლოდ ერთი ორი მოგონება-ღა ასიცოცხლებს მის სახელს ჩვენ შორის. მწერალმა სიცოცხლითვე აიგო ძეგლი, მსახიობმა მხოლოდ მოგონება დასტოვა.

რა ჯილდო მიიღო მსახიობმა? უმწეობა! წაერთვა ხმა! ვის რაღად უნდა დაინახოს სცენაზედ ულმობელ ავადმყოფობისაგან შეპყრობილი მსახიობი! აი, აქაც უმადურობა. გუშინდელი მისგან მონიჭებული სიამოვნება, დღეს დაავიწყდა მაყურებელს; ამასაც გაუძლო, მაგრამ ცოლი, შვილი? მათ რა პასუხს აძლევს, ყოვლად უმწეოდ და უპატრონოდ დატოვებულთ! არ ძალგვიძს ჩამოთვლა ყველა იმ მწუხარებისა, რაც ჩვენის სცენის მოღვაწეთა შრომას მოსდევს. როდესაც იგინი იწყებენ სამსახურს, ეს ყველა კარგად იციან, მაგრამ კაცის გულმა, სამშობლოს სიკეთისა და წარმატების ტრფიალით აღვსილმა, როგორ გასძლოს, რომ არ დასდოს თვისი სიცოცხლე მისს წმინდა საკურთხეველზედ შესაწირავად?!..

ვლ. ს. მესხიშვილი, ამ მოტრფიალეთა ფერხულში ჩაბმული, აქამდის შეუდრკელად ემსახურა საზოგადოებას, ჩვენს წინ-მსვლელობას და ჩვენს სცენას. ამ მოღვაწეს ჩვენს საერო გაჭირებაში უკან არ დაუხევია; ამოდენის ხნის სამსახურს უფლება მიუნიჭებია მისთვის, მოგვმართოს და გვთხოვოს ძმური დახმარება, მაგრამ ჩვენმა კეთილმა გრძნობა-გონებამ აქამდის არ უნდა მიიყვანოს სამშობლოს მოღვაწე. ამისთანა კაცს უნდა ვაკმაროთ ამდენის ხნის სულის კვეთება. კეთილ სინიდისიერება და ზნეობრივი მოვალეობა უნდა ჩაგვაგონებდეს, რომ ჩვენ თითონ გამოვიჩინოთ კაცთ-მოყვარეობა, გაუწვდინოთ მესხიშვილს ხელი, დავეხმაროთ გაჭირებაში და მით სიტყვიერი თანაგრძნობა საქმედ ვაქციოთ.

ამ შემთხვევაში ქართულ დრამატიულ საზოგადოების გარდაწყვეტილება სწორედ მოსაწონია, რომ იგი ჰმართავს დღეს ბ-ნ მესხიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენას; ამ წარმოდგენის შემოსავალი გარდაეცემა მესხიშვილს, რომ გაემგზავროს საზღვარ გარედ საექიმოდ და კვლავ დაუბრუნოს თავისი თავი სამსახურად ჩვენს საზოგადოებასაც და იმ საქმესაც, რომელსაც მან თვისი სიცოცხლე შეალია.

ტფილისი

◆ 14-ს იანვარს, ნინოობა დღეს, სიონის ტაძარში ქართულს წირვას დიდძალი მლოცველი ქართველობა დაესწრო. მოსულიყვნენ აგრეთვე სათავად-აზნაურო სკოლისა და გიმნაზიების მოწაფენი და სხ. მწირველი ბრძანდებოდა დიმიტრი ეპისკოპოსი. წირვის დასასრულს დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა დეკ. მარკოზ ტყემალაძემ. წინა დღის (13 იანვარს), საღამოდგან დაწყებული მეორე დღის საღამომდის ტაძარი და მისი ეზო-ყურე სავსე იყო მლოცველებით.

◆ 15 იანვარს იყო არჩევნები ტფილისის სათავად-აზნ. ბანკის პირველ რიგის რწმუნებულთა. კრებას დაესწრო 8 ამომრჩეველი. კრება დაიწყო დილის 12 საათზედ ვლ. მიქელაძის თავმჯდომარეობით. არჩეულ იქმნენ 35 რწმუნებული დ 5-იც მათი კანდიდატი. აი მათი სია: 8 ხმა თეთრი. შავი, არც ერთი—გაბაშვილი გ. დ., სუმბათაშვილი დ. კ., ქავჭავაძე ი. გ , მიქელაძე, 7 თეთრი—ერთი შ., ჯანდიერი ლ. გ., ბერელაშვილი ად. ზ., მამაცაშვილი ქრ. ი., სარაჯიშვილი დ. ზ., არგუთინსკი გ. ი., გრუზინსკი მ. ა., თაიროვი ს. ა. ყიფიანი ვ. რ. 6 თეთრი — 2 შავი, არღუთინსკი ყრ. ასლ., ამილახვარი ი. გ., ქართველიშვილი ნ. გ., ფორაქაშვილი ად. ი., ფურძელაძე ა. ნ., საყვირელიძე გ. ბ., თულაშვილი ი. გ., ცხვეთაძე ნ. ზ., აბაზაძე გ. ი., გრუზინსკი პ. ა., ფრიდონოვი ა. თ., ფუცელაძე ი. ი., სავანელი ა. ი., თუმანიშვილი ნ. ა. 5 თეთრი—3 შავი, ზუბალაშვილი ი. იაგ., გაბაშვილი ვ. დ., ისარლოვი ი. პ., მიცკევიჩი ა. ი., თოფურია ს ბ., ციციშვილი გ. ს, სუმბათაშვილი ი. მ., ასიფოვი ა. ის., ანდრონიკაშვილი ნ. დ.

კანდიდატები სტროევი პ. ნ., 8 თ., ფორაქაშვილი 7 თ. 1 შავი, მათვეევი ნ. სებ., 6 თ. 2 შ., ყიფიანი მ. ქ., 5 თ. 3 შ., მაისურაძე 4 თ. 4 შავი.

◆ დღეს ქართული დრამატიული დასი ვ. ს. მესხიშვილის სასარგებლოდ გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესა „გრიგალი“.

◆ როგორც ყური მოვკარით, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას განუზრახავს ქუთაისის დრამატიული დასი მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ და ზოგიერთ მსახიობების მიშველებით, სანამ მესხიშვილი განიკურნებოდეს, ჰმართოს ქართული წარმოდგენები.

◆ გუშინ, 14 იანვარს, წმინდა ნინოობის დღეს, წმინდა ნინოს დედათა სასწავლებელში იყო წლიური აქტი ამ სასწავლებლისა. სწავლაში წარჩინებულ მოწაფე ქალებს დაურიგეს საჩუქრები; ამავე სასწავლებელში მოსწავლეთათვის დანიშნული იყო საღამოს მეჯლისი, რომელსაც დაესწრნენ მოსწავლეთა ნათესავნი და სხვა მიწვეულნი.

◆ ამ დღეებში მოხდა ქალაქის სკოლათა კომიტეტის წევრთა კრება, რომელმაც განიხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველის პასუხი სახელოსნო სკოლის დირექტორის—ბ-ნ ოჰანეზოვის სამსახურიდგან დათხოვნის შესახებ. კომიტეტმა ხელმეორედ დაადგინა,—შესავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა ჩამოერთვას ოჰანეზოვს და ჩაბარდეს მელიქ-ალავერდოვს; მოსამსახურეთ ამ სკოლაში ჯამაგირი ეძლეოდეთ კომიტეტის განკარგულებით; სკოლის საჭიროებისათვის სახარჯო ფულის მოხმარება მიენდოს ამა სკოლის მასწავლებელს მელიქ-ალავერდოვს, რომელსაც შეეძლოს, სიჭიროებისამებრ გაიწეროს ხოლმე ფული.

◆ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ქალაქის ხორცის დუქნების კომისსიას განზრახვა აქვს ყოველ წლივ შეიძინოს დ. ზ. სარაჯიშვილისაგან 2,000 სული საკლავი საქონელი, რომელიც იმის არყის ქარხანაში იკვებება კავკავს ლუფხით ყოველ წლივ. ბ-ნს სარაჯიშვილს კარგა ხანია მოწყობილი აქვს ამ ქარხანაში საქონლის გამოკვება. მხოლოდ დღევანდლამდე სარაჯიშვილი გასუქებულ საქონელს შიდა რუსეთში მიარეკინებდა. სარაჯიშვილს, როგორც პრაქტიკის კაცს, ისე აქვს გამოზომილი ყველაფერი ვლადიკავკავის ქარხანაში, რომ ერთი მარცვალი ჰირნახულისა უბრალოდ, უმნიშვნელოდ არ დაჰვარდება ძირსა; არაყის გამოხდის შემდეგ რომ ჰინახულის ჩენჩო და ლუფხი უბრალოდ, გამოუსადეგრად არ წასულიყო, სარაჯიშვილმა თერგის პირას ქარხნის გასწვრივ, გაჰმართა თვალგადუწვდენელი ფარდული, რომელშიაც დაეტევა ხუთი ათასი სული ხარი; გაჰმართა მშვენიერი ბაგები, დააგო ზღვეები და ისე მომართა, რომ, როცა მოისურვებს მწყემსი, მოუშვებს ონკანს და მთელი ეს ამოდენა სადგომი გაირეცხება უსუფთაობისაგან; უზარ-მაზარი ბოჭკების ონკანს მოუშვებს და ლუფხი მიეცემა ბაგებში, სადაც აუარებელი საქონელი აბია და იკვებება; ამ ნაირ მოწყობის წყალობით სარაჯიშვილმა ვლადიკავკავის ქარხანასთან გააჩინა აუარებელი სხვა-და-სხვა ჯიშის საქონელი; თითქმის გარეული ჯიხვებიც-კი მოაშენა. როგორც მცოდნეთ შეემოწმებინათ, ლუფხით გასუქებული საქონლის ხორცი უფრო გემრიელიაო და საქონელიც მალე კეთდება თურმე; ეჭვი არ არის, სარაჯიშვილი ამ ვაჭრობაშიაც თავს იჩენს და ქალაქსაც დიდი შეღავათი მიეცემა, რადგანაც აქეთ იქით აღარ მოუნდება ჩარჩებთან საქმის დაჭერა და თითო ოროლა სულის შესაძენად ცხრა მთას იქით წასვლა.

◆ ბათუმისა და ართვინის ოლქში, როგორც გვატყობინებენ, დიდი თოვლი მოსულა, რის გამოც მგზავრთა მიმოსვლა შეჩერებულა.

◆ სოფ. ავჭალაში—ტფილისის მაზრა—როგორც შევიტყეთ, დიფტერიტი გაჩენილა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ორი ბავშვი უმსხვერპლია. ამ სენის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად ამ დღეებში ავჭალას წავიდა მაზრის ექიმი კლიაჩინი.

◆ ტფილისიდგან ერევანს გაემგზავრა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მატარებლის დაშავების საქმე.

◆ როგორც გვატყობინებენ, სოფელ წითელ გორაში—სიღნაღის მაზრა—საქონლის ჭირი გაჩენილა, რომელსაც მუსრი გაუვლია საქონლისათვის.

—

წმ. ნინოს დღესასწაული.

გუშინ, 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დღესასწაულის დღეს, ანჩისხატის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა არხიმანდრიტი დოსითეოსი—სამღვდელოებითურთ. ტაძარი გაჭედილი იყო ტფილისის სამრევლო სკოლების ქართველ მოსწავლეებით და ტაძარში ადგილი რომ აღარ იყო, მრავალი ხალხი წინ კარში და გარედ იდგა.

როგორც მშვენიერი ქართული წირვა, აგრეთვე სხვა-და-სკოლის მოსწავლეთაგან შემდგარ გუნდის გალობა დიდებულობის ელფერს აძლევდა და თვით ურწმუნო ადამიანსაც-კი სასოებას გაუღვიძებდა.

ამ დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ამ ტაძრის წინამძღვარმა მღ. მამა პოლიევკ. კარბელაშვილმა. სიტყვა უფრო მიმართული იყო მოსწავლე ახალ თაობისადმი.

სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამ ქართველთა საერო დღეს—ყველა არ უქმობს და ზოგმა სასწავლებლებმაც-კი ქართველი ბავშვები არ დაითხოვეს ამ ჩვენთვის დიდებულ დღეს, რომ მისულიყვნენ ეკლესიაში და სხვებთან ერთად შევედრებოდნენ თავის ერის განმანათლებელს წმინდა ნინოს.

ამაზედ უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ჩვენის სულიერს მამებსაც აღარ ახსოვთ ეს დიდებული დღე, როგორც საყოველთაო ქართველთა უქმე და დღესასწაული. ამისათვის ბევრგან ჩვენს სოფლებში ამ დღესასწაულს წირვაც-კი არ არის, არა თუ წირვა, წმინდა ნინოს დაუჯდომელი და პარაკლისიც არ მოიპოვება სოფლის საყდარში.

ჩვენ არ გვკარგავთ იმედს, რომ ყურადღებას მიაქცევენ ამას, როგორც ჩვენი მღვდელ-მთავრები, ისე სასულიერო და საერო წოდების წარმომადგენლები, და სამერმისოდ მაინც გასწორდება ეს ფრიად სამწუხარო შეცდომა და მოვესწრებით იმას, რომ, როგორც ძველად წმინდად ჲ სასოებით ეგებებოდა ჲ უქმობდა საერთოდ მთელი ქართველი ერი თავისს განმანათლებლის წმიდა ნინოს მიცვალების დღეს—ისე მერმისისათვისაც იუქმებს საერთოდ ქართველთა ეკლესია და ქართველობა ამ საერო დღესასწაულს.

მეთვალყურე.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება. 14-ს ამა იანვარს კრება ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ, რომელზედაც განხილულ იქმნა ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეისა და ან. ნატროშვილის მოხსენება პირველ დაწყებითი სკოლებში სამშობლო ენის მნიშვნელობის შესახებ. სანამ მოხსენების კითხვას შეუდგებოდნენ, საზოგადოების მდივანმა ე. იოსელიანმა წაიკითხა წინა კრებების ოქმები, რომელნიც უცვლელად დამტკიცებულ იქმნა. შემდეგ, კრების თავმჯდომარემ სულთან-კრიმ-გირეიმ წაიკითხა თავისი ვრცელი მოხსენება ზემოთ დასახელებულ საგნის შესახებ. პატივცემულმა რეფერენტმა განუმარტა საზოგადოებას თითქმის ყველა გამოჩენილ პედაგოგთა და მეცნიერთა აზრი სამშობლო ენის პირველ დაწყებითი სკოლებში საჭიროების შესახებ. რეფერენტის სიტყვით, პირველ-დაწყებითი სკოლების ნაყოფიერება მხოლოდ შესაძლოა, თუ ამ სკოლებში სწავლება სწარმოებს სამშობლო ენაზედ. ამ საჭიროების აუცილებლობას თხოულობენ არა მარტო საზღვარ-გარეთის პედაგოგნი და მეცნიერნი, არამედ თვით ყოველი კეთილ და მართალ მოაზრე რუსის პატრიოტნი, რომელთათვის რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობა დიდად სანატრელია. სამშობლო ენის მნიშვნელობის შესახებ გამოცხადდა თავის დროზედ ღირს-საყურადღებო ბრძანება აწ უკვე ღვთით განსვენებულ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ისა. განსვენებული იმპერატორი თავის ბრძანებაში პირდაპირ აღნიშნავდა იმ საყურადღებო გარემოებას, რომ პირველ დაწყებითი არა რუსთა სკოლებში სწავლება წარმოებულიყო სამშობლო ენაზედ, რომ სკოლებში არავითარ პოლიტიკას და ამ გვარ აზრებს ადგილი არა ჰქონოდა დათმობილი. სკოლა, განსვენებულ იმპერატორის აზრით, უნდა ჰფენდეს ჭეშმარიტ აზრებს, აღვიძებდეს ადგილობრივ საზოგადოების თვითცნობიერებას და არა რაიმე პოლიტიკურის მოსაზრების განსახორციელებლად უნდა იყოს მიჩნეული. ყველა ამ მოსაზრებების გამო ბ-ნმა რეფერენტმა დაასკვნა, რომ კავკასიელ პირველ დაწყებითი სკოლებში ხალხის თვითცნობიერების გასაძლიერებლად, ხალხის კულტურულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და თვით სახელმწიფო ენის უფრო მკვიდრად და სავსებით შეთვისებისათვის აუცილებლად საჭიროა სწავლება სწარმოებდეს სამშობლო ენაზედ. თუ ეს პირობა განხორციელებულ იქმნა, აუცილებლივ მოსალოდნელია, რომ პირველ დაწყებითი სკოლების ნაყოფიერება მეტად თვალსაჩინო და სასარგებლო იქმნება. ეს სკოლები მაშინ თავის პირდაპირ დანიშნულებას მართლაც რომ ღირსეულად შეასრულებენ და ადგილობრივი საზოგადოება უფრო მეტის სიყვარულით და ნდობით მოეპყრობა პირველ დაწყებითი სკოლებს. ბ-ნ რეფერენტის აზრით, პირველ დაწყებითის სკოლების ორგანიზაციის საქმე ამრიგად უნდა შეიცვალოს: ერთკლასიან სკოლებში სამის წლის კურსის მაგივრად დაარსდეს ოთხის წლის კურსი, ორ კლასიანში—ოთხისა და ხუთის წლის კურსის მაგივრად—ექვსის წლის კურსი. ყველა საგნების სწავლება ერთ კლასიან სკოლებში შიუცილებლად უნდა სწარმოებდეს ოთხისავე წლის განმავლობაში მხოლოდ დედაენაზედ, რათა პირველ დაწყებითი სწავლა შეგირდებმა სრულის შეგნებით შეითვისონ. რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს როგორც ცალკე საგანი, ორ კლასიან სკოლებში-კი ოთხს წელიწადს; ვიდრე ერთ სკოლის კურსი გათავდებოდეს სრულიად, სწავლება ყველა საგნისა უნდა იყოს აგრეთვე დედაენაზედ, მეხუთე და მეექვსე წელიწადს-კი სწავლება გაგრძელდება რუსულ ენაზედ. სკოლებთან დაარსებულ იქმნას ბიბლიოთეკები, სადაც უნდა მოიპოვებოდეს ყოველგვარი საჭირო წიგნაკები და ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ხალხის გათვითცნობიერების საქმეს. დაარსებულ იქმნას სკოლებთან, სადაც-კი შესაძლებელი იქმნება, სამეურნეო მუზეუმები. მიექცეს ყურადღება მასწავლებელთა გონებრივ განვითარების საქმეს და ამ აზრით ყოველწლივ გაიმართოს მასწავლებელთა კურსები, რომელზედაც შემუშავებულ უნდა იქმნას საერთო ზომები პირველ დაწყებითი სკოლებში პედაგოგიური მხარეების გასაუმჯობესებლად და კიდევ სხვა ამ გვარი სასარგებლო ცვლილებანი. მოხსენებამ ხანგრძლივი და მეტად ცხარე კამათი გამოიწვია.

სხვა ორატორები, რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, სასულიერო და საერო წოდების კაცნი ერთსულობით და ერთგულობით ამტკიცებდნენ სამშობლო ენის აუცილებელ საჭიროებას პირველ დაწყებითი სკოლებში, მხოლოდ ამ საერთო აზრის მსვლელობას მეტად სამწუხარო ჩრდილი მიაყენა ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორის პერევოზნიკოვისა და ყოფილის ქართულის პედაგოგის ივანე როსტომაშვილის მოსაზრებამ აღძრულ საგნის შესახებ. ბატონი პერევოზნიკოვი გაკვირვებით ეკითხება თავმჯდომარეს, მე არ მესმის, რა აზრი აქვს წაკითხულს მოხსენებასო, თუ აწინდელი პირველ დაწყებითი სკოლების უვარგისობას და უნაყოფობას აღნიშნავს მოხსენება, ამის საწინააღმდეგოდ უნდა მოვახსენოთ, რომა:... ამ სიტყვებზედ თავმჯდომარემ შეაჩერა პერევოზნიკოვი და განუმარტა, რომ მოხსენებაში ერთი სიტყვაც არაა დაძრული იმის შესახებ, რომ აწინდელი პირველდაწყებითი სკოლების მოღვაწეობა უვარგისიაო და ამიტომ ამ საგნის შესახებ ლაპარაკის ნებას არ გაძლევთო. პერევოზნიკოვმა ბოლოში მოითხოვა საზოგადოების წინაშე, მე ასე გავიგეო და უკანვე წაიღო თავისი სიტყვები, მხოლოდ ამასთანავე სახალხო სკოლების ინსპექტორმა განმარტა, რომ რუსულის ენის უფრო მკვიდრად შესათვისებლად სამოსწავლო ოლქს საუკეთესოდ მიაჩნია ეგრედ წოდებული „მუნჯური“ მეთოდი ამ მეთოდს ბევრი მომხრეები ჰყავს საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, გერმანიაში და სხვაგან. გამოჩენილი პედაგოგი ბერლიცი სამშობლო ენის დახმარებას სრულიად უარ-ყოფს უცხო ენის შესწავლის დროს. მართლაც ბ-ნ ბერლიცის მიერ ამ აზრით შედგენილი სახელმძღვანელოებით მოიფინა მთელი ევროპის პირველ დაწყებითი სკოლები და ნაყოფიც დიდიაო. ბ-ნი ივანე როსტომაშვილი ამტკიცებდა; სამშობლო ენა, რასაკვირველია, საჭიროაო, მაგრამ ამავე დროს საჭიროა სწავლება პარალელურად რუსულს ენაზედაც სწარმოებდესო.

საზოგადოებამ ერთხმად უარჰყო ბ-ნ პერევოზნიკოვის და ივ. როსტომაშვილის უსაფუძვლო მოსაზრებანი და სავსებით შეუცვლელად მიიღო ბ-ნ კრიმ-გირეისა და ან. ნატროშვილის ფრიად საინტერესო მოხსენება პირველ დაწყებითი სკოლებში სამშობლო ენის საშუალებით სწავლების შესახებ. ამასთანავე პ. სურგულაძემ განაცხადა, კარგი აქნება, აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა, რომ კავკასიის ყველა საშუალო სკოლებში სამშობლო ენის სწავლა სავალდებულოდ იქმნეს შემოღებულიო, მხოლოდ ბ. ალიბეგოვმა ამას დასძინა, რომ საჭიროა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა პირველ დაწყებითი სწავლის ყველასთვის სავალდებულოდ შემოღებისა. ბ-ნმა ალიბეგოვმა საზოგადოებას წაუკითხა ქუთაისის სახალხო სკოლების ბ-ნ მაჭავარიანის ცნობილი ცირკულიარი მასწავლებლებისადმი, რომელიც ავალებს სოფლის მასწავლებელთ სასოფლო ყრილობებზედ სასოფლო მმართველობის ნება-დაურთველად არ გამოცხადდეთო; სასოფლო ბიბლიოთეკებში არ იაროთ და „მაღალ საგნებზე“ არ ილაპარაკოთო. ბ-ნ ალიბეგოვმა ამ ცირკულიარის შინაარსი სოფლის მასწავლებელთა შესახებ სამწუხარო მოვლენად ჩასთვალა და სთხოვა საზოგადოებას ამ ანორმალურს მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიექცესო. კრების თავმჯდომარემ ბ-ნ კრიმ-გირეიმ მოახსენა კრებას ბბ. პ. სურგულაძის და ალიბეგოვის წინადადებანი ოქმში იქმნებიან შეტანილნიო.

კრება დასრულდა ღამის 12 საათზედ.

—

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

13 იანვარი (მეექვსე სხდომა).

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

კრება დაიწყო 11 საათზედ. ოქმის წაკითხვის შემდეგ, სახალხო სკოლათა ინსპექტორმა ბ-ნ ნოვოსპასკიმ შენიშნა მდივანს,—მე არ მითქვამს საშუალო სამთამადნო—საქარხნო სასწავლებელს უფლება არა აქვთო; ამ სასწავლებელს სწორედ ისეთი უფლება-უპირატესობა ეძლევა, როგორც სხვა საშუალო სასწავლებლებს. გთხოვთ ეს შეიტანოთ ოქმში.

ბ-ნი ს. ქვარიანი. ოქმში არაა აღნიშნული ჩემი შენიშვნა, თავ. ი. ნიჟარაძისადმი მიმართული, რომ მე ბ-ნ თავმჯდომარემ დამრთო ნება კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა, თანახმად წესდების მე-6 მუხლისა. გარდა ამისა, სრულიად მეტ ბარგად მიმაჩნია, ყოველივე იმ წვრილმანის ოქმში მოქცევა, რაც კრებაზედ ხდება, რადგან საქმეს არ ეხება. ჩემის აზრით, უმჯობესია, არ შევიტანოთ ოქმში, რაც საქმეს არ შეეხება.

მღ. მჭედლიძე. როდესაც სამრევლო სკოლების შესახებ ვლაპარაკობდი, სხვათა შორის, აღვნიშნე, რომ ამ სკოლებში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი დედა-ენას; ეს გარემოება მე ფრიად საგულისხმოდ მიმაჩნია. გარდა ამისა, ბ-ნ ემერიკს,—როცა განაცხადა,—ამა და ამ სახის სკოლა რომ დავაარსოთ, სწავლის დამთავრების შემდეგ მოწაფენი ქიათურაში არ მოიცდიან, უფრო დიდ ქალაქებს მიატანენ, მაგ., ბაქოსა და სხ.,—მე შევნიშნე,—მაშ, თქვენ ისა გნებავთ, რომ მონები აღზარდოთ და აღარსად გაუშვათ-მეთქი? ეს სიტყვები სრულიად გამოტოვებულია ოქმში და გთხოვთ ჩაუმატოთ.

ბ-ნ იოს. კაკაბაძემ განაცხადა,—გუშინ ის აზრი გამოვსთქვი, რომ მოხსენების ავტორებს წინდაწინვე-კი არ უნდა ეძლეოდეთ სასყიდელი, არამედ მის შემდეგ, როცა უკვე შემუშავებულს შრომას წარმოგვიდგენენ.

ბ-ნი ემერიკი. მე სრულიადაც არ მყოლია სახეში მონები, და არა ვგონებ მამა მჭედლიძის გარდა, რომელსამე აქ დამსწრეს ისე გაეგოს ჩემი აზრი. მე მოგახსენებდით, სატეხნიკო სასწავლებელი რომ დავაარსოთ, სწავლის დასრულებისათანავე მოწაფენი ისეთ ადგილებს მიჰმართავენ, სადაც მეტი მოთხოვნილებაა ამგვარ ცოდნისა; ყველასათვის ცხადია, რომ ამ შემთხვევაში დიდი უპირატესობა აქვს ბაქოსა და სხვა დიდ მწარმოებელ ქალაქებს ქიათურის წინაშე. ამავე დროს ქიათურაში დიდად გვესაჭიროებიან შეგნებულნი მუშაკნი. მაშასადამე, ქიათურისათვის ისეთი სკოლა უნდა დავაარსოთ, რომელიც უფრო შეესაბამება ადგილობრივ პირობათა. ეს იყო ჩემი აზრი და არა ვგონებ აქედგან ვინმე ის დაასკვნას, ვითომ მე მონების აღზრდას ვქადაგობდე.

ოქმი დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქმნა.

თავ. ი. აბაშიძე. ბ-ნო თავმჯდომარე, გთხოვთ, განკარგულება მოახდინოთ, რომ თეატრის დარბაზი გაათბონ ხოლმე, სანამ ყველანი ფილტვის ანთებით დავხდებოდეთ ავად. აუტანელი სიცივეა.

თავმჯდომარე. რადგან კიდევ არ გამოცხადებულა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ანგარიშის განხილვა კიდევ უნდა გადავდოთ; ეხლა შევუდგეთ § 13 (ჭიათურის მიდამოთა მადნიან ადგილების გეოლოგიურ რუქის შედგენა).

გაისმა ხმები: როდემდის უნდა ვუცადოთ თავმჯდომარეს, ვალა მაინც დანიშნეთ.

თავ. ი. აბაშიძე. ბატონებო, მეტად სარგებლობს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კრების ზრდილობიანობით; რატომ არ დაბრძანდება კრებაზე?

სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვა ხვალამდე გადაიდვა.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ჩვენ არც-კი შევხებივართ ჯერ სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვას, და ორი ადგილობრივი ცნობილი გაზეთი-კი წინდაწინვე მოგვითხრობს მის ამბავს.

თავმჯდომარე. ინჟ. საპიცკის უკვე მზადა აქვს მოხსენება გეოლოგიურ რუკის შესახებ და მოვისმინოთ.

ინჟ. საპიცკიმ წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც, სხვათა შორის, ის აზრი გაატარა, რომ, როგორც მრეწველთათვის, ისე ექსპორტიორთათვის მეტად საჭიროა ისეთი გეოლოგიურ რუკის შედგენა, რომელიც მაჩვენებელი იქმნება შავ-ქვიან ადგილებში მადნის რაოდენობისა და თვისებისა. მართალია, არსებობს რამდენიმე გეოლოგიური რუკა, მაგ. გეოლოგ სიმონოვიჩისა და სხვათა, მაგრამ ყველანი უფრო სამეცნიეროა, ვიდრე პრაქტიკულად გამოსადეგიო. ავტორის ვარაუდით, ამგვარი რუკა უნდა დაჯდეს 10—13 ათასი მანეთი, მაგრამ, რადგან იგი თვით სამთამადნო გამგეობისათვისაც საჭიროა, ამ უკანასკნელმა აღგვითქვა,—ხარჯის ერთ ნაწილს გიზღავთო. ამასთანავე, რაც დაჯდება, ორი წლის განმავლობაში შეგიძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადოთო.

თავმჯდომარე. მე თავად დამავალა სამთა-მადნო გამგეობის უფროსმა, თუ ასეთ რუკას შეადგენიებს შავი-ქვის მრეწველთა გამგეობა, ჩვენც მივუდგებით ხარჯში, რადგან მთელს მხარეს ეხება ეგ საქმეო. ეხლა კრებამ უნდა გამოსთქვას,—იღებს თავის თავზედ ამ საქმეს, თუ არა.

ბ-ნი ჯ. საშვილი ჯერ გვიბრძანეთ, რამდენს შემოგვეწევა მთავრობა?

ბ-ნი კ. ბაქრაძე. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვა განვიხილოთ, ჯერ უსაჭიროესი მოთხოვნილებანი დავიკმაყოფილოთ და, თუ გადაგვრჩა რამე, მაშინ მოვილაპარაკოთ რუკის შესახებ.

ბ-ნმა ემერიკმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა,—დიდად საჭიროა ჩვენთვის ისეთი რუკა, რომ სახელმძღვანელოდ გამოგვადგეს წარმოების დროსაო. ის რუქები, რომელნიც დღესა გვაქვს, პრაქტიკულად უმაქნისიაო. ჩვენთვის იმის ცოდნაა საჭირო, სად რამდენი და რა თვისების მადანიაო. გირჩევთ, შეუდგეთ ამ საქმეს და დროით განახორციელოთ იგი, რადგან მადნების ცნობაში მოყვანაზე რამოდენადმე დამოკიდებულია თვით მაზანდაო.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე არ ეთანხმება ბ-ნ ემერიკის აზრს,—მაზანდას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს რუქასთანაო, მაზანდა საქონლის რაოდენობასა და მის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებულიო. ვშიშობ, რომ ამაოდ ჩაივლის ის ხარჯი, რომელსაც რუქის შესადგენად გვთხოვენ—10—13 ათას მანათამდე.

ბ-ნი ი. გამყრელიძე. ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, საქმეს ვერას არგებს; დიაღ ჩინებულია ბ-ნი ემერიკის აზრი და სავსებით ვუერთდები. საგანი საკმაოდ გამოირკვა და გთხოვთ მიიღოთ.

ბ-ნი ს. წერეთელიც იმ აზრისაა, რომ ეს რუქა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს მრეწველთ და ჰღირს იმად, რომ 5,000 მანეთამდე გაიღოს კრებამ მის შესადგენადაო.

თ-დ ი. ნიჟარაძის აზრით 3,000 მანეთიც იკმარებს, თუ ამდენსავე სამთა-მადნო გამგეობა გაიღებსო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მე არ შემიძლიან ამ მოხსენების ტეხნიურ მხარეს შევეხო, მხოლოდ უყურადღებოდ ვერ დავტოვებ მისი პრაქტიკულ მხარეს. ვსთქვათ, თქვენ დაავალეთ მომავალ საბჭოს, ან კერძო კომისიას ასეთ რუქის შედგენა. ხომ უნდა გამოაქვეყნოთ იგი შემდეგში? სხვანაირად შეუძლებელია. ამისთვის, უნდა ვიცოდეთ, მოგვცემს, თუ არა, ნებას ესა, თუ ის მადნის პატრონი, რომ

მისი მადნის რაოდენობა და თვისება ყველამ გაიგოს! იქნებ, რაიმე პრაქტიკულ მოსაზრებით, მას არა ჰსურს, რომ სხვამ იცოდეს ესა. ეს გარემოება ყურადღების ღირსია და სახეში იქონიეთ (ტაში).

ინჟ. საპიცკი. ბ-ნ ზდანოვიჩის მოსაზრება დიდ საგულისხმოა; მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ რუკაზე დაწვრილებით კი არ იქნება აღნიშნული კერძო მესაკუთრეთა მადნების რაოდენობა. ეს მეტად ძვირადაც დაჯდებოდა. მაგრამ ზემოხსენებულ რუკაზე აღინიშნება მთელი უბნები საზოგადოდ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. თუ, როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, 25 საჟენი დიუმით იქმნა აღნიშნული, იმდენად ვრცელი რუკა გამოვა, რომ ყველაფერი ცხადად გამოჩნდება და მაინც გამოქვეყნებული იქნება.

ბ-ნმა ემერიკმა განაცხადა, რომ ყველაფერი ცხადი, საქვეყნო უნდა იყოსო. ნურც ჩვენს თავს ვატყუებთ და ნურც სხვასაო. ორატორმა მაგალითად მოიყვანა, ერთი ინგლისელი, რომელსაც მადნიანი ადგილი ეყიდნა და შიგ მადანი აღარ აღმოჩენილიყო; რომ ჩვენ რიგიანი რუკა გვქონოდა, ასეთს სიყალბეს ვეღარავინ ჩაიდენდაო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მჯერა, რომ ბ-ნ ემერიკს სახეში არა ჰქონია ვისიმე შეურაცხყოფა, მაგრამ კარგად მოეხსენება, თუ როგორ იყო იმ ინგლისელის საქმე; ყველამ უწყოდა, რომ იმ ადგილში, რომელსაც ის ყიდულობდა, არა იყო-რა. ასე რომ ეს მაგალითი სრულიად არ იყო აქ მოსატანი.

მე წინადაც მოგახსენეთ, რომ პრინციპიალურად არა ვარ წინააღმდეგი გეოლოგიურ რუკის შედგენისა, მხოლოდ მსურს ყველამ გაიგოს რას მოუტანს მას ეს რუკა. საიდგან გამოჰყავთ ზოგიერთებს ის დასკვნა, ვითომ ვისიმე მოტყუება გვსურდეს და მიტომ ვუარობდეთ რუკას?

გარდა ამისა მეტად აზვიადებენ რუკის მნიშვნელობას,—ამასა და ამას შეგვძენსო. ეს თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი. (ტაში).

ინჟ. საპიცკი. დიდად პატივცემული ბ-ნი ზდანოვიჩი ერთმანერთში ურევს ორს სხვა-და-სხვა საგანს; ჩვენ მხოლოდ იმას გავიგებთ, ვის რამდენი და როგორი მადანი აქვს, თორემ გამოქვეყნება და გამომჟღავნება-კი არ გვინდა მისი. ჩვენ გვინდა უფრო ნამდვილი ცნობები გვქონდეს, რადგან ის ცნობები, რომლითაც აქამდე ვხელმძღვანელობდით, სინამდვილეზედ ძალიან შორსაა.

თავმჯდომარე წინააღუდგა ამ განცხადებას,—ეგ არაა მართალი, ვითომ ის ცნობები, რომელთაც თქვენ ასახელებთ, არ ვარგოდესო.

ბ. ემერიკი. რაიცა შეეხება იმ მადანს, რომელიც უკვე ამოღებულია, ეს სასტატისტიკო ბიუროს საქმეა, ამ ცნობებს თვით ბ. ზდანოვიჩი აცხადებს ხოლმე; ჩვენთვის საჭიროა იმ მადნის რაოდენობის ცოდნა, რომელიც ჯერ ხელ-უხლებელია. ამისათვის-კი აუცილებლად საჭიროა გეოლოგიური რუკა.

ბ. ზდანოვიჩი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ვაჭრობაში რამოდენადმე საიდუმლოებაც საჭიროა. იმ ინგლისელის მაგალითი მიტომ-კი არ მოიყვანეს, რომ რაიმე დაემტკიცებიათ; ეს მხოლოდ საოხუნჯო სიტყვის მასალად დასჭირდათ, თორემ გეოლოგიური რუკა აქ რა შუაში იყო? ეს კარგად უწყის ბ. ემერიკმა, რომელსაც მეტად უყვარს გადაჭრით ლაპარაკი, მაგრამ ჩემთვის უფრო საყურადღებოა სპეციალისტის ბ. საპიცკის აზრი, რომელიც დამეთანხმა, მხოლოდ საფუძვლიანი შენიშვნა მომცა,—რუკის შედგენა მის გამოქვეყნებას არ მოასწავებსო. მაგრამ არ მესმის, რა მნიშვნელობა ექმნება ამ რუკას, თუ ვერ გამოვაქვეყნებთ?

თავ. პ. წულუკიძე. გეოლოგიურ რუკას მხოლოდ ზოგიერთისათვის, უმცირესობისათვისა აქვს მნიშვნელობა; ეს—მეორე ხარისხოვანი საქმეა. ამისათვის ჯერ ხარჯთ-აღრიცხვა განვიხილოთ და მერე მოვილაპარაკოთ მაგის შესახებ.

ინჟ. საპიცკიც უერთდება იმ აზრს, რომ სწორედ საფიქრებელია, ვის ხელში უნდა ინახებოდეს ეს რუკაო, მაგრამ კიდევ იმეორებს, რომ მეტად საჭიროა მადნის რაოდენობისა და თვისების ცოდნაო.

ექ. ჭიჭინაძემ განაცხადა,—საიდუმლოება არაფერში არ გვინდა, პირ-იქით, უნდა ვეცადნეთ, რომ ყოველივე ჩვენი საქმე საქვეყნოდ, აშკარად კეთდებოდესო; კრებას არ ეკადრება ამგვარი საქციელიო.

თავმჯდომარემ მიჰმართა კრებას,—სასურველია, ეს საქმე ხარჯთ-აღრიცხვამდე გადასწყდესო.

პირველ საათზედ ათის წამით შესწყდა კრება.

თავმჯდომარის წინადადებით ბეითალმა ლანგმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება, რომელშიაც აღნიშნა თუ რამდენად ჰსაჭიროებს ქიათურა საბეითალო-სასანიტარო საქმის გაუმჯობესებას. სიხშირე საქონლის მოარულ სენისა—ტფილისის გუბერნიაში და რაჭაში—ჭირისა, რომელიც ადვილად გადმოდის ქიათურას,—ჯილეხისა (Сибирская язва)—თვით ქიათურაში,—დიდ საფრთხილესა და გამუდმებულ თვალ-ყურის დევნას თხოულობს, თვეობით შეიძლება, და კიდეც ყოფილა ნაგალითები, მადნის ზიდვა შესწყდესო. ეს-კი დიდად საზარალოა ყველა მრეწველთათვისაო.

გარდა ამისა, წაკითხულ იქმნა მოხსენება გუბერნიის საბეითალო ინსპექტორისა.

ზდანოვიჩი. ბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შემდგარმა საგუბერნიო კომისიამ წინადადება მოგვცა,—საბეითალო საქმეს შემწეობა აღმოუჩინეთო, მაგრამ სამწუხაროდ, იძულებული ვიყავით უარი გვეთქვა, რადგან ბეითალი, რომელსაც ჯამაგირი დავუნიშნეთ, უმეტეს ნაწილად სოხუმში სცხოვრობდა. როდესაც ფინანსთა მინისტრს მივმართეთ,—ბეითალი დაგვინიშნეთ ქიათურაშიო-თქო—შეიწყნარა ჩვენი შუამდგომლობა, მხოლოდ მრეწველთა კრებამ იკისროს ხარჯიო. ჩვენ შევიძლიან მხოლოდ, თუ-კი მთავრობა დაგვინიშნავს ბეითალს ქიათურაში, სამკურნალოსა და სასაკლაოს ხარჯი ვიკისროთ. სხვა ხარჯებს რაც შეეხება, ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ლაპარაკი, როცა ხარჯთ-აღრიცხვას შევუდგებით.

ბეითალი ლანგი. მინისტრი, ალბად, ისევ უარჰყოფს მაგგვარ შუამდგომლობას.

თავმჯდომარე სასურველია, თუ არა ქიათურისათვის საკუთარის ხარჯით ბეითალის დაქირავება?

ხმები: სასურველია, მხოლოდ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდე ვერას გადავსწყვეტთო.

თავმჯდომარემ განაცხადა,—ეხლა ბ-ნთ ემერიკისა და ქვარიანის მოხსენებანი მოვისმინოთ ტარიფის დაკლების შესახებაო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მე, როგორც მახსოვს, ერთსა და იმავ საკითხის შესახებ მოხსენების შემუშავების მსურველნი უნდა შეერთებულიყვნენ მოხსენების ავტორის თავმჯდომარეობით, რომელიც წარმოადგენდა მოხსენებას.

ბ-ნი ემერიკი ბოდიშს იხდის,—ულონოდ ვიყავი და დღეისათვის ვეღარ მოვასწარიო; ხვალისათვის-კი ვეცდები წარმოგიდგინოთო.

თავმჯდომარე. მაშ ბ-ნი ილ. კაკაბაძე წაიკითხავს თავის მოხსენებას.

ბ ნმა ემერიკმა განაცხადა,—მოხსენება თითქმის მზადა მაქვს შავად და შემიძლიან გაგაცნოთ, თუ ინებებთო, შემდეგ დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ ის ათასგვარი წვრილმანი დაბრკოლებანი მადნის გადაზიდვა-გამოზიდვის დროს, რომელნიც ყოველ წამს წინ ეღობება მრეწველთ და მეტად აფერხებს მათს საქმეს. დასასრულ ორატორმა ბრძანა,—ყოველ ამ შევიწროება დაბრკოლების შესახებ უნდა მივმართოთ, სადაც ჯერ არს, რომ თავიდგან ავიცდინოთ და მრეწველთ საქმე გავუადვილოთო.

ბ-ნი სოლოვიოვი—კავკას. რკინის გზათა წარმომადგენელი—ზოგში არ ეთანხმება ბ-ნ ემერიკს.

ბ ნ ი. ფანცხავამ განაცხადა (პასუხად ბ-ნ ემერიკისა), თუ რა მიზეზით ხვდება ფოთში ჩაზიდულ მადანს სხვა-და-სხვა დაბრკოლება გემების დატვირთვის დროს, ან რა ღონის ძიებას ხმარობს ქალაქის გამგეობა ამ დაბრკოლებათა თავიდგან ასაცილებლად.

მდივანმა წაიკითხა ბ-ნ ილ. კაკაბაძის მოხსენება ამავე საკითხის შესახებ.

ბ-ნმა ბ. მოსეშვილმა დაწვრილებით განუმარტა კრებას ის უნუგეშო მდგომარეობა, რომელშიაც რკინის გზის მმართველობა აგდებს მადნის გადამზიდველ მრეწველთ. სამწუხაროდ, სავსებით არ შეგვიძლიან მოვიყვანოთ მისი სიტყვა, მხოლოდ, მაგალითისათვის, აღვნიშნავთ რამდენსამე. მადნით დატვირთული მატარებელი სამ რიგად მიდის ფოთს, მაგრამ ისეა განაწილებული საათები, რომ საღამოდგან დილის 8 საათამდე უნდა მივიდნენ სადგურზე ყველანი. თუ სადგურზე მისული მადნით დატვირთული ვაგონები საღამოს 7 საათამდე არ დასცალა და უკანვე არ გამოაბრუნა მადნის პატრონმა, თითო ვაგონზე—სამ მანეთ ჯარიმას იხდის. ვსთქვათ, საღამოს რვა საათამდე ვერ მოასწრო დაცლა ვაგონებისა და გადაიხადა ჯარიმა; 7 საათიდგან ოთხი საათის განმავლობაში თუ კიდევ ვერ დასცალა, კიდევ უნდა გადაიხადოს იმდენივე ჯარიმა, ე. ი. ვაგონზე 3 მანეთი. ეს კიდევ არაფერი. როცა სავსე ვაგონებს ისტუმრებენ შორაპნიდგან, საჭირო საბუთებს სახალხო მატარებლით უგზავნიან იმ კაცს, ვინც უნდა ჩაიბაროს გემებზე გადასაცლელად ვაგონები. დაიგვიანა სამგზავრო მატარებელმა, საბუთები ვერ მიიღო იმ კაცმა; უნდა ადგეს და თითო ვაგონზე 3 მანეთი ჯარიმა იხადოს. ან კიდევ, მიუვიდა ვისმეს 60 ვაგონი ერთად, ერთ ჯერად შეუძლია მხოლოდ 26 ვაგონის დაცლა, დანარჩენ 34 ვაგონზე—სამ სამი მანეთი უნდა იხადოს ჯარიმად; ზღვა აღელვებულია და გემის დატვირთვა არ შეიძლება, აქაც ჯარიმა უნდა იხადოს; და მრავალი სხვა ამგვარი შევიწროება. ერთის სიტყვით, თუ არ მივმართეთ მთავრობას, რომ რაიმე შეღავათი მოგვცეს, სწორედ წელში გავსწყდებითო. (ხანგრძლივი ტაში)

ბ-ნი ზდანოვიჩი. მგონია, უმჯობესი იქნებოდა რომ ბ. ემერიკისა, კაკაბაძისა და მოსეშვილის მოხსენებათაგან ერთი მოხსენება შესდგეს, რადგან ერთსა და იმავ საგანს შეეხება.

თავმჯდომარემ განაცხადა,—ჯერ ვერავითარ გზას ვერ დავადგებით, თუ არ შეიმუშავეს ეს მეტად საყურადღებო საკითხი და ისე არ წარმოგვიდგინესო. ავტორებმა სურვილი განაცხადეს შეერთებისა.

კრება 3 საათზე შესწყდა. შემდეგი კრება 14 იანვრისათვის დაინიშნა.

14 იანვარი (მეშვიდე სხდომა)

კრების დაწყებამდე თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეთ,—რამდენიმე ახალი ვექილობა გვაქვს გასასინჯავი და გთხოვთ, ხუთმეტიოდე წამით მომითმინოთო.

სანამ ეს კომისია ბჭობა-თათბირში იყო, რამდენიმე კორესპონდენტმა მიმართა ბ-ნ მახარაძეს (საბჭოში მსახურობს),—ამ ერთ ლოჟაში ვერ ვეტევით ყველანი და იქნება მოგვიხერხოთ, რომ მეორე ლოჟაც დაგვითმონო. ბ-ნმა მახარაძემაც იკისრა შუამდგომლობა და მიმართა კრების თავმჯდომარეს, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა აღელვებული და განაცხადა,—ასე მიპასუხა, თავს ნუ მაბეზრებთ, თორემ პოლიციის ძალით გაგდევნით ყველასაო. ბ-ნი კ. ნიკოლაძე „Кавк."-ის კორესპონდენტი, გადახტა ლოჟიდგან პირდაპირ სცენაზე და გაცხარებით დაუწყო ლაპარაკი თავმჯდომარეს, ყური მოვკარით მხოლოდ უკანასკნელ სიტყვებს: „აგრე ისინი იქცევიან, რომელთაც თავის ცოდვების გამომჟღავნების ეშინიათ (**чувствуютъ за собой грѣхи**). დარბაზში ასტყდა წარმოუდგენელი ღრიანცელი; გაისმა ყვირილი: როგორ ბედავს თავმჯდომარის შეურაცხყოფას, ეგ ვინა გდია, გააგდეთ აქედგან ეგ სახით და საქმით მახინჯი (**физическій и нравственный уродъ**) და სხ. ამ ჩოჩქოლმა კარგა ხანს გასტანა.

კრების დაწყებისთანავე თავ. ი. აბაშიძემ მიმართა თავმჯდომარეს,—ჩემდა სასიამოვნოდ „ცნობ. ფურ."-ის, „ივერიის", „Нов. Об."-ისა და „Торг.-Пром. газ."-ის კორრესპონდენტებმა დამავალეს მოგახსენოთ, რომ მათ არც დაუვალებიათ და არც თანაუგრძნობენ ბ. ნიკოლაძის საქციელს.

შეუდგნენ ოქმის წაკითხვას.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. ახირებული რამეები მესმის პრესსის შესახებ..

თავმჯდომარე. მაგის შესახებ ლაპარაკის ნებას ვერ მოგცემთ, თუ გნებავთ, ოქმის შესახებ ილაპარაკეთ.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. აი, სწორედ ოქმშია აღნიშნული ის მუქარა, რომელიც აქ გამოითქვა გუშინ პრესსის მიმართ. თვით ლიტერატორი ჰქადაგობს, რომ ის მცირეოდენი, საბრალო თავისუფლებაც-კი, რომლითაც სარგებლობს დღეს ჩვენი საცოდავი პრესსა, როგორმე შეჰხუთონ, მოსპონ, დღეს კიდევ თავ. აბაშიძემ გაილაშქრა პრესსის თავისუფლების წინააღმდეგ.

ბ-ნი ზდანოვიჩი შეეკითხა ბ-ნ ი. ფანცხავას—ქ. ფოთის წარმომადგენელს,—ვის უნდა მივმართოთ, რომ ჩვენს წარმომადგენელსაც ნება ექნეს მონაწილეობისა იმ გამგეობაში, რომელიც ნავთ-სადგურის საქმეებს აწესრიგებს, რადგან მეტად საგულისხმოა შავი-ქვის მრეწველთათვის, თუ როგორ უნდა მოეწყოს შავი-ქვის საწყობები და სხვა.

ბ-ნმა ფანცხავამ განუმარტა, ვის უნდა მიჰმართონ ამ ნებართვისათვის. ნავთ-სადგურის გამგეობას უნდა მიჰმართოთ, რომ სანავთ-სადგურო „**присутствіе**"-ში ნება მიეცეს დასწრებისა მრეწველთა წარმომადგენელსაო.

თავ. ი აბაშიძე. შეიტანეთ ოქმში, რომ მთელი ორი დღეა, სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვას ვერ შევუდექით, რადგან მისი თავმჯდომარე არ დაიარებოდა კრებაზე.

ბ-ნი ს. ქვარიანი. ოქმში არაა ჩემი გუშინდელი განცხადება, რომ მე წესდების § 6 მუხლის ძალით ნება დამრთო თავმჯდომარემ კრებებზე დასწრებისა.

ბ-ნი ჯ. იაშვილი. ეს ყოველ დღეს მესმის, სულ ერთსა და იმას იმეორებს.

ოქმი დაამტკიცეს.

თავმჯდ. ეხლა სარევიზიო კომისიის ანგარიშს შევუდგეთ, ვსთხოვ ბ-ნ შუტცს (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს) წაიკითხოს ანგარიში.

ბ-ნი შუტცი. ვგონებ, უმჯობესი იქნება, რომ ჯერ საბჭოს ანგარიში განვიხილოთ.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ჩემის აზრით, ისა სჯობია ჯერ სარევიზიო კომისიის ანგარიში მოვისმინოთ; თორემ ჩვენი ანგარიშიც მზად გახლავთ, თუ გნებავთ, წავიკითხავთ.

ხმები: ჯერ სარევიზიო კომისიის ანგარიში წაიკითხეთო.

თავ. დ. წულუკიძე. ბატონებო, სადაა, ანვისა აქვს, ნეტავ, ეს სარევიზიო კომისიის ანგარიში? გავიგე, დაბეჭდილიც-კი არისო. ნეტავ ისე გამაბედნიერა, ერთ ცალს მაინც ჩავიგდებდე ხელში—ან მომყიდდეს, ან მაჩუქებდეს ვინმე.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ეს ანგარიში დაბეჭდვია თავის ხარჯით თვით სარევიზიო კომისიამ ქ. ბათუმში. ამა იანვრის 3-მდე თვალითაც-კი არ გვიხილავს იგი; მხოლოდ იანვრის 3-ს, საღამოს ათხი საათი იქნებოდა, წარმოადგინა ბ. შუტცმა საბჭოს კრებაზე, მაგრამ ისე გვიან იყო, რომ ჩვენ უნდა დავშლილიყავით, მეტი მოცდა დაღალულობით აღარ შეგვეძლო. იმ კრებაზედ თვით ბ. ემერიკმაც განაცხადა,—ეხლა ყოვლად მოუხერხებელია მაგის განხილვა, მომავალ კრებამდე უნდა გადავდოთო. ამას ბ-ნი ემერიკი ვერ უარ ჰყოფს, რადგან ხელიც-კი უწერია, ბ-ნმა შუტცმა არც დატოვება ინება ანგარიშისა,—ერთი ცალის მეტი არა მაქვსო, და განაცხადა,—ბათუმს მიმეჩქარება, საქმეები მაქვსო მე მეგონა, ალბად, თავად დააბეჭდვიებს და გააცნობს კრებასა-თქო. მაგრამ იანვრის 5-ს ისევ წარმოადგინა და, მოგეხსენებათ, რომ კრების დაწყებამდე ე. ი. იანვრის 7-მდე ყოვლად შეუძლებელი იყო მოგვესწრო მისი დაბეჭდვა, რადგან 6-ს დღესასწაული იყო.

ბ-ნი მარკოვსკი. ტყუილად სდებთ ბრალსა ბ-ნ შუტცს—ანგარიშის წარმოდგენა დააგვიანაო. წესდებაში ნათქვამია, რომ კრების პირველ სხდომამდე უნდა იქნეს წარმოდგენილი სარევიზიო კომისიის ანგარიში, და ასეც მოხდა.

ბ-ნი ს. ქვარიანი. პირველ იანვრისათვის ანგარიში მზად ყოფილა, მაშასადამე საბჭოს კარგად შეეძლო დაებეჭვდინებია, რომ ნდომებოდა; რადგან საბჭომ არ იზრუნა, თვით სარევიზიო კომისიამ დააბეჭვდია, თუმცა ვალდებული არ იყო; ამისათვის საყვედურის კი არა—დიდი მადლობის ღირსია სარევიზიო კომისია.

ბ-ნი გ. ბაქრაძე. თუ მართლა კეთილი განზრახვა ჰქონდა სარევიზიო კომისიას, განა არ შეეძლო ბლომად დაებეჭვდინებია, გადაეცა საბჭოსათვის და დანახარჯი აენაზღაურებია? მაშინ მისი გაცნობა ყველას შეეძლებოდა, და არა მარტო „რჩეულთ".

ინჟ. მარკოვსკი. როდის მოისმინა საბჭომ ანგარიში?

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. იანვრის 5-ს.

ინჟ. მარკოვსკი. შეეძლოთ მოესწრება.

ექ. ჭიჭინაძე. დაწვრილებით არ ვიცი ეგ საქმე, მაგრამ, როგორც სამართლიანად შეჰნიშნა ინჟ. მარკოვსკიმ,—საბჭოს შეეძლო მოესწრო მისი დაბეჭდვა. რაღა ჰქონდათ იმის იმედი, სარევიზიო კომისია თვით დააბეჭვიებსო. ის საყვედურიც სრულიად უსაფუძვლოა, ვითომ სარევიზიო კომისია მოვალე იყოს თავისი საკუთრება სხვებს უსასყიდლოდ დაურიგოს.

ბ-ნი ემერიკი. ბ-ნ შუტცმა წარმოადგინა ანგარიში იანვრის 3-ს,—არ მიიღეს, გვიანააო. ეს ჩემს იქ ყოფნაში მოხდა. მერმე ბ-ნ შუტცმა განაცხადა, მაშ მე თითონ დავაბეჭდვიებო, მ-გრამ უთხრეს,—ჩვენგან ფულს ვერ მიიღებთო. არ მესმის, რაღად ესაყვედურებიან ეხლა,—რატომ იმდენი არ დააბეჭვდია, რომ ყველას გახლომოდაო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. თვით თქვენც წინააღმდეგი ბრძანდებოდით,—გვიანაა ეხლა წაკითხვა, დაღლილნი ვართ, უნდა წავიდეთო. ბ-ნ შუტცმა არ დასტოვა ანგარიში,—ბათუმიდგან გამოგიგზავნითო, მაგრამ-კი აღარ გამოგვიგზავნა. მან კარგად უწყის, რომ ყოველ ანგარიშისა, თუ სხვა საბუთების დაბეჭვდა—საბჭოს მოვალეობაა და არა რომლისამე კომისიისა, ან კერძო კაცისა. მაგრამ, როგორ შეგვესრულებია ჩვენი მოვალეობა, როცა ბ-ნ შუტცმა არც აქ დაგვანება ანგარიში და არც იქიდგან მოგვაწოდა.

ბ-ნი ემერიკი. მე არ უარვყოფ, იქნება მართლა მეცა ვსთქვი,—გვიანაა და ვერ მოვისმენთ-მეთქი.

ბ-ნი გ. ცერცვაძე. იანვრის 3-ს, საღამოს 4 საათზე მოვიდა ბ-ნი შუტცი და განაცხადა, ანგარიში მოვიტანე და მოისმინეთო,—მაგრამ ვეღარ წავიკითხეთ, რადგან გვიან იყო. ვსთხოვეთ დაეტოვებია, მაგრამ არ დასტოვა,—ერთ ცალადა მიქვს და ვერ დავსტოვებო. მხოლოდ შეგვპირდა,—ბათომიდგან გამოგიგზავნითო, მაგრამ აღარ გამოგზავნა.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. ამ განხეთქილების ბრალი, ალბად, ანგარიშის შინარსია. მხოლოდ ტყუილ-უბრალო ლაპარაკით არა გამოვა-რა; სჯობს საქმეს შევუდგეთ.

ბ-ნი გ ზდანოვიჩი. წესდებაში ყრუდ არის ნათქვამი, თუ რა დროისთვის უნდა იყოს მზად ანგარიში, მხოლოდ ყველას მოეხსენება, რომ ყოველივე ქაღალდი საბჭომ უნდა წარუდგინოს კრებას; მაგრამ სარევიზიო კომისიამ დროით არ დაგვანება ანგარიში, რადგან დასებრივი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. ვგონებ-კი, რომ რევიზია დასებრივ საქმედ არ უნდა ხდებოდეს. როგორც მოგახსენეთ, სარევიზიო კომისიამ არ დაგვანება ანგარიში, რომ დაგვებეჭდა. იმ ანგარიშთან, როგორც ყოველგანაა მიღებული, უნდა დაბეჭდილიყო ჩვენი განმარტებაც, კომისიამ ანგარიში-კი დაჰბეჭდა, მაგრამ ჩვენი ახსნა—არა.

არ ვიცი, რა ვუწოდო მის საქციელს; შეიძლება არაფერათ ეპიტნაოთ კომისიის წევრებს, მაგრამ მათი საქციელი—აგიტაციაა—(ტაში). მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელი ბ. მარკოვსკი, მგონი, ყველაზედ უფრო აფერხებდა საქმეს. ყოველ დაწესებულებას (მაგ. ბანკებს), სარევიზიო ანგარიშს წარუგზავნიან ხოლმე და განმარტებას მოსთხოვენ. მაგრამ ჩვენმა კომისიამ საჭიროდ არ სცნო ასე მოქცეულიყო (ტაში).

კომისია რაღაც საიდუმლოებად ხდიდა თავის ანგარიშს, არამც და არამც არ უნდოდა, რომ ვისმე გაეცნო იგი. ჩვენ ამის შესახებ მოლაპარაკებაც გვქონდა საბჭოში, ბ. ემერიკიც დაესწრო იმ მოლაპარაკებას, მაგრამ არ სჯეროდა,—როგორ იქნება, რომ სარევიზიო კომისია და ბ. მარკოვსკი განგებ გვიმალავდნენ ანგარიშსაო. დეკემბრის 18-ს მივმართეთ კომისიას, მაგრამ ხმაც არავინ გაგვცა; მეორედ მივმართეთ, და კიდევ ამაოდ. მხოლოდ იანვრის 3-ს პირველად ვიხილეთ ანგარიში. ყოველსავე ამას მიტომ ვამბობ, რომ კრებამ გაითვალისწინოს, თუ რა აზრითაც ხდებოდა ესა (ტაში).

ბ. მ. მოსეშვილი. ბატონებო, რით აიხსნება, რომ გაზეთებში უკვე დაიბეჭდა სარევიზიო კომისიის ანგარიში და საბჭომ არა იცოდა-რა? გვიკვირს, რომ სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი ამას სჩადის.

ეს მიკერძოებაა. როგორ ეკადრება კანონის წარმომადგენელს ასეთი საქციელი. წაიღეს, ბათომში დაჰბეჭდეს და ჩვენ-კი გვიმალავდნენ (ტაში).

ექ. ჭიჭინაძემ განაცხადა,—კანონი გვავალებს, ანგარიში კრების პირველ სხდომამდე უნდა იქმნეს წარდგენილიო და ასეც იყო. რაიცა შეეხება ბ. ზდანოვიჩის ბრალდებას,—სარევიზიო კომისიის საქციელი აგიტაციააო, ის კი არა, თვით ბ. ზდანოვიჩის წინასიტყვაობაა აგიტაცია (ტაში ქანდარაზე).

ინჟ. მარკოვსკი. ბატონებო, ანგარიში იანვრის სამს იყო წარდგენილი, ხელ-მოწერილიცაა; მე-კი ბრალსა მდებენ,—ანგარიში ჯერ გაზეთში დაიბეჭდა, როცა საბჭომ არა იცოდა-რა მისიო. გაზეთი ხომ ყველასათვის არსებობს, ყველას შეეძლო წაკითხვა.

ბ. გ. ძოწენიძე. რაც ჯერ კრებისაგან არ იყო განხილული, რა ნება გქონდათ, საჯაროდ გამოგეტანათ. ეს სადაური თავის მართლებაა.

ინჟ. მარკოვსკი. იანვრის 5-ს ხომ საბჭოს გადაეცა ანგარიში?

თავ. პ. წულუკიძე. როგორ, „**Черномор. вѣстн.**"-იდგან უნდა გაგვეცნო ჩვენ სარევიზიო კომისიის ანგარიში.

თავმჯდომარემ მიჰმართა მდივანს და შეუდგნენ ანგარიშის კითხვას. ნახევრის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარემ შესწყვიტა კრება 15 წამით. ორ საათზე ისევ განაგრძეს კითხვა. ანგარიშის მოსმენის შემდეგ ბევრმა გამოსთქვა სურვილი ლაპარაკისა, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, ეხლა რომ კამათს მოვყვეთ, დიდხანს გასტანს და ისა სჯობია, ხვალამდე გადავდოთ კრებაო.

კრება 3 საათზე დასრულდა.

ჩვენებური ამბები

დაბა ცხინვალი: დღეს მთელის ცხინვალის მიდამო თოვლითაა დაფარული. დღე და დღე თუ ემატება, თორემ კლებით არაფერსა კლებულობს. ასევე ყოფილა მთაშიაც. ტყის გზა თურმე შეკრულია, ასე რომ შეშის გამოტანას ხელს უშლის, თუ კაი საქონელი არა ჰყავს.

ცხინვალიდან კარალეთამდის მშვენიერი მარხილის გზა არის, მაგრამ ჩვენი მეეტლენი თავისას არ იშლიან. წარმოიდგინეთ, ათის წლის სკოლის მოწაფეც-კი მანეთ-ნახევრიდან ორ მანეთამდე იღებდნენ: ამ ანაღებს ჯანი და სული წაუღია, ცხენების საცოდაობა სწვამს ადამიანს, ისე არიან დამახინჯებულ-დამჭლევებულნი. რას აკეთებს ტფილისში პირუტყვთა მფარველი საზოგადოება. წავიდეს გორში და დასტკბეს მათის ხილვით.

გორი. ვისაც-კი გორში მისვლა უნდოდეს, ღამის 9 საათზედ გვიან ნუ მივა, თორემ მერე ვეღარსად თავ-შესაფარს ვერა ჰნახავს. ეს დალოცვილიშვილი მოხელეები ქათმებივით საღამოს 8 საათზედ განსვენებას ეძლევიან. ეს კიდევ არაფერი, საქმე ის არის, მთელ ქუჩებს ისე დაივლი, ერთ ქუჩის დარაჯს ვერ შეჰხვდები, რომ ნაცნობ მეგობრის სახლი მაინც იკითხო და ღამე სიცივეში არ იხეტიალო.

რუსეთი

თებერვლიდან პეტერბურგში დაიწყებს მოქმედებას ახლად დაარსებული „ხუროთ-მოძღვართა და აკადემისტთა საზოგადოება".

— სახელმწიფო საბჭომ საჭიროდ დაინახა, რომ 1902 წლის 12 ივნისს გამოცემული საბეითალო-სასანიტარო კანონი შემოღებულ იქმნას მთელს რუსეთის იმპერიაში არა უგვიანეს 1903 წლის 1 ივლისისა. სახელმწიფო საბჭოს ამ გვარი დადგენილება შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ყველა გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს, რომ საბეითალო-სასანიტარო კანონის შემოღება აღნიშნულ ვადას არ გადასცილდესო.

— საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის საბჭოს დაუდგენია, აღძრას მომავალ აკადემიის კრებაზე საკითხი—უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლის სახუროთ-მოძღვრო განყოფილებაზე მიიღონ თუ არა ქალები მოსწავლეებად.

— სამეცნიერო და ლიტერატურის წიგნების გამომცემელს კ. ი. სოლდატენკოვს—როგორც გაზეთები ამბობენ—1.200,000 მანეთი უანდერძებია მოსკოვში საავადმყოფოს დასაარსებლად.

— პროფ. ლანელონგის 38,000 ფრანკი გარდაუცია პარიჟის საექიმო აკადემიისთვის ყოველ სამ წლის განმავლობაში საუკეთესო საქირურგიო შრომის დასაჯილდოებლად.

— პეტერბურგში ამ გაზაფხულზე დაარსებენ ახალი ტიპის შუშის ქარხანას. სადაც შუშის ლიანდაგსა და შპალებს დაამზადებენ.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისი ამ ჟამად იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც იყო 1880 წელს, როდესაც, კონსერვატორთა ბატონობის შემდეგ, უფლება ხელ-ახლად გადავიდა ლიბერალთა პარტიის ხელში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ ლიბერალთა პარტიას თავში ედგა მარჯვე სახელმწიფო კაცი გლადსტონი. ახლა-კი გლადსტონისთანა ხელმძღვანელი არავინ ჰყავს, რადგან ლორდი როზბერი ხელმძღვანელად არ ჩაითვლება. ლორდმა როზბერმა, არამც თუ თავის ნებით უარჰყო წინამძღოლობა, არამედ პარტიის წევრობაზედაც უარი სთქვა. როზბერი ამაოდ სცდილობდა შეექმნა თავის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული ლიბერალ-იმპერიალისტთა პარლამენტარული ჯგუფი.

ლორდი როზბერი, რაც დრო გადის, თავის თავს აცნობს ყველას. ამას წინად პლიმუტში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც, მისი აზრით, პასუხია და განმარტებაა დღევანდელის ისტორიულის მომენტისა, მაგრამ, სიმართლე რომ ვსთქვათ, მისი სიტყვა უფრო აბნელებს და ბურუსში ჰხვევს ახლანდელს ისედაც ბუნდოვან მდგომარეობას.

მართალია, როზბერის სიტყვა ძლიერ გრძელია, მაგრამ მასში რომ კაცმა რაიმე გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამმის ძებნა დაიწყოს,—ეს დიდი შეცდომა იქნება. იგი სავსეა ერთი მეორის მოწინააღმდეგე აზრებით. მაგალითად, როზბერი ჯერ ირწმუნება, ბალფურ-ჩემბერლენის სამინისტრომ ერის ნდობა დაჰკარგაო და იქავე ახასიათებს ჩემბერლენის მისიის კულტურულს მოქმედებას სამხრეთ აფრიკაში. როზბერი ქვევით ვითომ კიდევ არკვევს საკითხს და სულ უსაფუძვლოდ ჰხატავს მთელი ევროპის მდგომარეობას. მას რომ დავუჯეროთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ევროპას დიდი ომი მოელის, რომ ყველა ხალხი და სახელმწიფონი შურით და მტრობით უცქერიან ინგლისს. ის ეხება ვენესუელის საქმეს, მაგრამ იქაც იგივე წინააღმდეგობაა. მას არ მოსწონს ამ საქმეში ინგლისის პოლიტიკა, მაგრამ იმავ დროს მოხარულია, რომ გერმანიასთან კავშირი დაიჭირა.

აშკარაა, როზბერის ამგვარი პოლიტიკური პროგრამმა ლიბერალთა პარტიას ვერ დააკმაყოფილებს.

როზბერიმ ვრცელი სიტყვით მიმართა; ლიბერალთ; მაგრამ იგი სრულიად არ შეეფერება უკანასკნელთა მისწრაფებას. ეს სიტყვა გამეორებაა ჩემბერლენის იდეებისა, მაგრამ ძალიან მკრთალი გამეორება. როზბერი ვერაფერი დამცველია ინგლისისა, რომელიც ამ ჟამად განსაცდელშია ჩავარდნილი იმ მხრივ, რომ ყველა უკმაყოფილებას უცხადებს კონსერვატორ-უნიონისტთა მთავრობას და თხოულობს, ლიბერალთა პარტია უნდა შეადგენდეს მთავრობასაო. ყველა არჩევნებზე პარლამენტში ლიბერალები იმარჯვებენ და ადვილი მოსალოდნელია, რომ ესენი ძალიან ჩქარა გამეფდნენ. და აი, ამ კრიტიკულ მდგომარეობის დროს, გამოდის როზბერი და სცდილობს თავის შეუფერებელ პოლიტიკით ლიბერალთა პარტიის გულის მოგებას.

ამავ დროს სხვა წარმომადგენელნი ლიბერალთა პარტიისა, ჩამოეცალნენ როზბერს. შეიძლება, თუ არა, დაარსება ლიბერალთა ახალი კაბინეტისა,—ეს საკითხი გადაჭრილია. ლორდმა როზბერიმ რომ არ ითავოს კაბინეტის შედგენა, მაშ ვინ უნდა ითავოს? ლიბერალთა შორის ბევრია ნიჭიერი, მაგრამ როზბერის ოდენა სახელი არც ერთს არა აქვს გავარდნილი. მოსალოდნელია, სამინისტრო კრიზისი.

შეერთებული შტატები. ქვა-ნახშირის სიძვირემ და უქონლობამ გამოიწვია ახალი ბილის გამოცემა, რომლის ძალითაც უნდა მოისპოს შემოსატან ქვან-ნახშირზე დადებული გარდასახადი. კანონ-პროექტზე შეერთებულ შტატების პრეზიდენტს რუზველტს უწერია ხელი. ბილლი გამოქვეყნებულიაო.

საფრანგეთი. პალატამ დაიგვიანა 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვით, რაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო იყო გამოწვეული. ოპოზიცია სულ იმას გაიძახოდა, რომ ხარჯთ-აღრიცხვის დაგვიანების მიზეზი დღევანდელი წეს-წყობილებააო. რეაქციონერები და მემარჯვენეები, ლაზის მეთაურობით, ყოვლად უმნიშვნელო და უშინარსო საკითხების წამოყენებას ანდომებდნენ თავისუფალ დროს, რათა ხარჯ-აღრიცხვის განხილვის ვადა რამე ნაირად დაეგვიანებიათ, მაგრამ რეაქციონერთა ყოველ გვარმა ხრიკებმა უმნიშვნელოდ ჩაიარა, ბიუჯეტის განხილვას მაინც შეუდგნენ ორშაბათის კრებაზე.

პალატამ ასი ხმის უმეტესობით მხარი დაუჭირა სამინისტროს და კომბს სრული ნდობა გამოუცხადა კლერიკალიზმთან ბრძოლაში; პალატა ურჩევს მთავრობას, არც ერთი თხოვნა კონგრეგაციებისა დაკმაყოფილებულ არ იქმნას, აღეკრძალოს კონგრეგაციებს ბრეტანიის სკოლებში და ეკლესიებში ბრეტანულს ენაზედ კატეხიზმის სწავლება და ქადაგებაო.

„ეს ენის სწავლება როდია, ეს რესპუბლიკის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებააო" სთქვა მთავრობის მაგივრად კომბმა.

ამ გვარად პალატა და კაბინეტი უმთავრეს საკითხების გადაწყვეტაში ერთმანეთს მხარს უჭერენ. არასოდეს არ ყოფილა საფრანგეთის მთავრობა ისე გამაგრებული, როგორც დღესაა. მათ შორის განხეთქილების ჩამოვარდნის შესახებ თვით ჟორესის მომხრენიც არას ამბობენ.

— ჟორესის არჩევას პალატის ვიცე-პრეზიდენტად დიდად გაუჯავრებია ნაციონალისტები. მაგალითად, ცნობილს დერულედს შემდეგი დეპეშა მოსვლია ჟორესის არჩევის შესახებ ერთი ნაციონალისტისაგან:

„ჟორესი საფრანგეთის მოღალატეა, ელზას-ლორენის რენეგატია, ის მტერია ყველა ჩვენი მეგობრებისა და მოყვარეა საფრანგეთის ყველა გარეშე მტრებისა, ამიტომ მისი პალატის ვიცე-პრეზიდენტად არჩევა ეს შერცხვენა და თავს ლაფის დასხმაა დღევანდელი საფრანგეთის წყობილებისა და შელახვა პატრიოტულ გრძნობათა და მცნებათა. მაგრამ ეს არ უნდა აღონებდეს პლებისციტის მომხრეთ. მათ მეტის თავ-გამოდებით და მეტის ძლიერებით უნდა შეებრძოლონ პარლამენტალურ რესპუბლიკის სამარცხვინო მოქმედებას. ძირს პარლამენტის რესპუბლიკა! გაუმარჯოს სახალხო რესპუბლიკას"! მართლაც რომ გაუმარჯოს სახალხო დემოკრატიულს რესპუბლიკას! მაგრამ ისეთს-კი არა, რასაც დერულედი და მათი დამქაშნი ჰგულისხმობენ.

წერილები
რედაქციის მიმართ.

I

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ბ-ნ სტეფანე კონსტანტინეს ძეს ზუბალაშვილს, რომელმაც კეთილი ინება და თავისის ხარჯით გამოუწერა უმისთავის სამრევლო სკოლას წარსულს 1902 წ. „ჯეჯილი".

მასწ. გერასიმე ხაჟომია.

II

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით დავეკითხო ბ-ნ უგრეხელიძეს, რა უთუ ის ოთხი მანეთი და თხუთმეტი შაური, რომელიც გადასცა ბ-ნმა გ. განძიელმა სურამის სამკითხველოს სასარგებლოდ? ფრიად სასურველია, რომ ბ-ნმა უგრეხელიძემ თქვენისავე გაზეთის საშუალებით შეგვატყობინოს, თუ არ უნდა გადმოსცეს ზემოხსენებული შემოწირულება სამკითხველოს, რა მიზეზით არ უნდა, ხოლო თუ უნდა, როდის გადმოსცემს.

სურამის სამკ. გამგე გ. ნებიერიძე

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

14 იანვარი.

ჯიბუტი. გუბერნატორმა ცნობა მიიღო, მენელიკის მოსვლა გადაიდოო.

ფილიპოპოლი. ცხადდება, რომ საიდფაშამ მოითხოვა უფრო მეტი დამოუკიდებლობა სამოქმედოდ და მინისტრების უახლოესი ზედამხედველობა და, მოელოდ-რა რომ სულთანი ამას არ შეიწყნარებდა, სამსახურიდგან განთავისუფლების ქაღალდი შეიტანაო.

სოფია. ფინანსთა სამინისტრომ შეტანა წინადადება, რომ რქიან საქონელზე ბაჟს აღარ იღებდნენ. განთავისუფლებელ ომის კომისიამ ნიში-ძეგლის ასაგებად შეაგროვა 100,000 ფრანკი.

ფილიპოპოლი. ჯემილ-ბეი აულონიდგან გაიქცა იტალიას გემით და ოსმალთ ვერ შეიპყრესო. ეს შემთხვევა ჰბადებს ბევრ მითქმა-მოთქმას.

პარიჟი. ჟურნალისტმა დენუმ გაზეთ „Soleil"-ში წერილი დასწერა შესახებ ერთის ბროშურისა „რუსეთი და ფინლიანდია". ის ამბობს, ფინლანდიის საქმე არის პირველი ღრუბელი, რომელიც აბნელებს რუსთა და ფრანგთა კავშირსაო.

მიუნჰენი. სათადარიგო აფიცერთა სადილზედ, რომელიც გაიმართა იმპერატორის დაბადების დღეს, პრინცმა ლიუდვიკმა წარმოსთქვა სიტყვა და გაიხსენა იმპერატორისაგან კიუნერბერგის მუზეუმის დათვალიერება და დაუმატა, გერმანელთა მონაწილეობამ მუზეუმის აშენებაში დაგვანახვა, რომ არც ერთი გერმანელი არ ეტანება ირრედენციზმსაო.

მადრიდი. „Im" იუწყება, ტახტის მაძიებელი ახლოა ფეცზეო. სულთანის ჯარი ცდილობს, თავს დაესხასო.

ვენა. ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წევრმა, პროფესორმა ლამბაშმა განაცხადა, შეერთებულის შტატებისა და მექსიკის დავის გადაწყვეტა, სამედიატორო სამართლით, დაჯდა 130,000 ფრანკი, და არა 2,000,000 ფრანკი, როგორც წინად იყო ნაუწყებიო.

პეტერბურგი. 14 იანვარს, გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს, საზამთრო სასახლეში გაიმართა საუზმე ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, ხელმწიფე მემკვიდრისა და გერმანიის საელჩოს „წევრთა თანადასწრებით. ხელმწიფე იმპერატორმა ადღეგრძელა გერმანიის იმპერატორი.

15 იანვარი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის რესკრიპტით პეტერბურგის ბავშვთა თავ-შესაფარის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული.

კიევი. ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო სახელმწიფო ხაზინიდგან 30,000 მ. მიეცეს კიევის სარწმუნოება-ზნეობრივ განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას.

ბანგკოკი. საფრანგეთ-სიამის ხელშეკრულობის რატიფიკაციის ვადა 17 მარტამდეა.

ლონდონი. სიკვდილით დასჯა ლინჩეს სამუდამოდ გამ.სწორებელ რაზმში ყოფნით შეუცვალეს.

სტოკჰოლმი. შვეციისა და ნორვეგიის მინისტრთა საბჭოს კრებაზედ კრონპრინცმა მიიღო რეგენტობა.

ლონდონი. სულით ავადმყოფთა სახლის ერთს განყოფილებას, სადაც 600 ებრაელი ქალი იყო, დილის 5 საათზედ ცეცხლი გაჩენია; 60 დაღუპულა. ზოგი გაქცეულა; ვერ უნახავთ.

პეკინი. სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ემზადებიან ჩინეთის უკანასკნელს ნოტას საპასუხოდ.—ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის მისსია წინააღმდეგობას აცხადებს იულიან-სონის შანსის გუბერნატორად დანიშვნის შესახებ, რადგან დამტკიცებულია, რომ ის მონაწილეობას იღებდა იღებდ. ხუნანში მისიონერების მოკვლის საქმეში.

პარიჟი. მოვანის მოხსენებას სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ 14 იანვარს წარედგინება პარლამენტს; ის თანახმაა ჯარის-კაცის სამსახურის ვადა ორი წელი გრძელდებოდეს; ყოველ წლივ თითო თვე სახლში წასვლით სამსახური 22 თვე იქნება. მშვიდობიან დროს საფრანგეთს 600,000 ჯარის-კაცი მზად ეყოლება; ომის დროს-კი მილიონზედ მეტს ჯარს დააყენებს ფეხზედ. მომხსენებელი თანახმაა არტილერიას მოუმატოს და კავალერიაში ძირითადი რეფორმა მოახდინოს.

პეტერბურგის ბირჟა, 10 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	3770
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465¼ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	375 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	311½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83⅞ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 90 გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	85⅛ გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	90⅛ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	2400 გაყ.
აქციები ,, " " "	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	387 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	165 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

18 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) დავა არტემ ნიკობაძისა და დავით წულუკიძისა:
2) დავა კონ. ებრილიძისა და იოსებ თებზაძისა.
3) დავა მათე შალამბერიძისა და თ-დ პართენ ერისთავისა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„GRAND PRIX"
PARIS 1900
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Духи
„въ Мечтахъ"

აბრეშუმის ჭიის თესლი
ძმათა კასხალიდთა.
ამ თვის გასვლამდე ამ ცნობილის ფირმის კომპანიონი პროფ. ლ. ბეზანოსი ჩამოვა ტფილისს და ჩამოხტება ვეტცელის სასტუმროში —მიხეილის პროსპ. წვრილ-წვრილად ყიდვა თესლისა შეიძლება კავკასიის საიმპერ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასა და მუშტაიდის საბრეშუმო სადგურში.
(8—2)

ლაბარატორია
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.


ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა);
ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.
ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კროვატებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ქია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.
სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთ სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.
ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბუშერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.
უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.
(40—6.—2)

ახალი გამოცემანი
წერა-კითხვის საზოგადოების
1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.
2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.
3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.
ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.
6—2.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.